

ცვლილება დამტკიცებულია  
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის  
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №10  
„ 20 “ 10 2021წ.

რექტორი:



შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის  
საგამოცდო ცენტრის დებულება

## I. ზოგადი დებულებანი

- 1.1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში – უნივერსიტეტი) საგამოცდო ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
- 1.2. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრი მოქმედებს უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

## II. ცენტრის მიზნები, ამოცანები და უფლებამოსილებანი

2.1. ცენტრის მიზანია:

უნივერსიტეტში ერთიანი შიდა საგამოცდო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას, რითაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სწავლის ხარისხის ამაღლებას.

2.2. ცენტრის ამოცანებია:

- ა) უნივერსიტეტში სწავლების ორივე საფეხურის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზება;
- ბ) გამოცდების მატერიალური ბაზის (საგამოცდო ოთახები, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა) მოწყობა და შესაბამისობის კონტროლი.
- გ) გამოცდების ორგანიზაციული მართვა და მათი მიმდინარეობის მონიტორინგი.

2.3. ცენტრის უფლებამოსილებანი:

- ა) ცენტრი ამუშავებს გამოცდების ერთიან კონცეპტუალურ, მეთოდურ და ორგანიზაციულ სისტემას.

- ბ) გამოითხოვს ფაკულტეტებიდან ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ჩატარების განრიგს;
- გ) გამოცდამდე ორი კვირით ადრე სასწავლო კურსის განმახორციელებელთაგან იბარებს საგამოცდო საკითხებს და ტექნიკურად უზრუნველყოფს გამოცდების ჩატარებას აღნიშნული საკითხების გამოყენებით.
- დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, ნიშნავს დამკვირვებელთა ჯგუფს გამოცდებზე დასასწრებად.
- ე) თითოეულ სტუდენტს ანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც გამოიყენება წერიტი გამოცდისას ან ტესტირებისას, აგრეთვე, საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისას;
- ვ) ახორციელებს კანონმდებლობით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, აკადემიური საბჭოს დადგენილებით კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

### III. ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- 3.1. ცენტრის პერსონალს შეადგენს: ხელმძღვანელი და სპეციალისტები.
- 3.2. ცენტრის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშნვის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
- 3.3. ცენტრის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 3.4. ცენტრის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
  - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
  - ბ) პასუხისმგებელია ცენტრის წინაშე დასმული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე;
  - გ) გამოცდებთან დაკავშირებული ოპერატიული საკითხების თაობაზე ურთიერთობს სასწავლო დარგში რექტორის მოადგილესთან და ფაკულტეტების დეკანებთან;
  - დ) პასუხისმგებელია საგამოცდო შედეგების დროულად გამოქვეყნებაზე;
  - ე) პასუხისმგებელია საგამოცდო საკითხების კონფიდენციალურობასა და საგამოცდო საკითხების ელექტრონული ბაზების შექმნაზე;
  - ვ) ანაწილებს მოვალეობებს და აძლევს მითითებებს ცენტრის სპეციალისტებს;
  - ზ) ყოველი სემესტრის ბოლოს გაწეული მუშაობის შესახებ წარუდგენს ანგარიშს

რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში.

თ) ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

3.5. ცენტრის სპეციალისტი:

ა) ასრულებს საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის დავალებებსა და მითითებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) აქვს კომუნიკაცია სასწავლო კურსის განმახორციელებლებთან საგამოცდო მასალების დროული მიწოდებისა და დამუშავების მიზნით.

გ) უზრუნველყოფს საგამოცდო დარბაზში გამოცდისთვის შესაფერის გარემოს.

დ) ცენტრის სპეციალისტი ანგარიშვალდებულია ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

#### IV. გამოცდების ჩატარების წესი

1. შუალედური და დასკვნითი გამოცდები ჩატარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.
2. კურაციული სწავლების შემთხვევაში, შეიძლება შუალედური გამოცდა ჩატარდეს სასწავლო კურსის განმახორციელებელთან კლინიკაში, რომელსაც დაესწრება დეკანატის წარმომადგენელი;
3. საგამოცდო რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 15 წუთით ადრე. რეგისტრაციის დრო არ შედის საგამოცდო დროში. დაგვიანებული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება შესაბამისი გამოცდის აღდგენის უფლების გარეშე.
4. გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვ.) უნდა გამოირთოს და შეინახოს სპეციალურად განკუთვნილ კარადაში.
5. დაუშვებელია გამოცდაზე სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება, ან მისი მცდელობა ან სხვა პირის ხელშეწყობა დახმარების მისაღებად.
6. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლებია: საგამოცდო მასალების მოპოვება; ნებადართულის გარდა სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება; საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება; კონსპექტების, „შპარგალკების“, წიგნების და სხვა მასალების გამოყენება; საუბარი, ხმაური,

ქესტიკულაციის გამოყენება; სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით; სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში; საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით; სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება; გამომცდელის მითითებების შეუსრულებლობა, მითითებების გაპროტესტება გამოცდის მსვლელობისას ან გამომცდელის შეურაცხყოფა.

7. გამოცდიდან სტუდენტის მოხსნა და გამოცდის გაუქმება ფიქსირდება სპეციალურ ოქმში (იხილე დანართი 1).
8. სტუდენტის მიერ საგამოცდო შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია წერილობით. სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით დეკანს. დეკანი ვალდებულია 3 სამუშაო დღეში განიხილოს საჩივარი სასწავლო კურსის განმახორციელებელთან ერთად და მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული შეფასების შეცვლა/შენარჩუნების თაობაზე. ნებისმიერი გადაწყვეტილება იმავე დღეს ეცნობოს სტუდენტს. თუ სტუდენტს არ დააკმაყოფილებს მიღებული გადაწყვეტილება, მას უფლება აქვს მოითხოვოს ნაშრომი გადაეზავნოს სასწავლო კურსის სხვა სპეციალისტს ხელახალი შეფასების მიზნით. ხელახალი შეფასების საბოლოო შედეგი სტუდენტს უნდა ეცნობოს საგამოცდო პერიოდში, ისე რომ არ დაირღვეს სტუდენტის ინტერესი და უფლებები.

ოქმი #

ფაკულტეტი .....

სახელი, გვარი .....

სასწავლო სემესტრი .....

ჯგუფი .....

სასწავლო კურსი .....

გაუქმების საფუძველი (კომენტარი) .....

.....

თარიღი და ზუსტი დრო .....

გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელი

(სახელი გვარი) .....